საქართველო

33529-01-2-201509031756

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/33529
03/09/2015

ფრიად სასწრაფო

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2015 წლის 10 ივლისს ხელი მოეწერა „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, გიგზავნით, „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმების ინგლისურენოვან ტექსტს და მის აუთენტურ ქართულენოვან თარგმანს, განმარტებით ბარათს, შეთანხმების ფურცელს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული უწყებების დასკვნებს.

ასევე გიგზავნით, საქართველოს სამთავრობო უწყებების მომზადებულ შემდეგ კანონპროექტებს:

- „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების - საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

- „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე";
- „საგადასახდო სისტემისა და საგადასახდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე";
- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, შეთანხმება საჭიროებს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.

აღნიშნული დოკუმენტის პარლამენტში წარდგენის შემთხვევაში, მომხსენებლები იქნებიან:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ლეჟავა;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლაშა ხუციშვილი.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე